დადგენილება:**დ-47. 4724178001**
თარიღი:**26/06/2024**

დადგენილება N11

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N35 დადგენილებაში ((www.matsne.gov.ge 27/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.114.016361):

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება:

ა) სამსახურის უფროსი;

ბ) არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილება;

გ) ინფრასტრუქტურის განყოფილება;

დ) სამსახურის თანამშრომლები - საჯარო მოსამსახურეები.“.

ბ) დადგენილებით დამტკიცებულ დანართს დაემატოს მე-4^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 4^1. არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილება

არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის დაგეგმარების, განაშენიანების, კეთილმოწყობის, გამწვანების, რეკონსტრუქციის, რესტავრაციის, საქალაქო დიზაინის საკითხთა მარეგულირებელი ნორმების და წესების დამუშავებაში მონაწილეობას;

ბ) პროექტებისა და მშენებლობის ნორმების სრულყოფისათვის საჭირო წინადადებების მომზადებას და ინიციატივების გამოჩენას დასახლებების იერსახის გაუმჯობესების მიზნით;

გ) შენობების ფასადების არქიტექტურული იერსახის განსაზღვრას;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე) მიწათსარგებლობის შესახებ წინადადებათა მომზადებას, მშენებლობებისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების დანიშნულებით გამოყენებაზე ქმედითი კონტროლის განხორციელებას;

ე) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების დაგეგმვას;

ვ) დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების შემუშავების თაობაზე წინადადებების მომზადებას;

ზ) დასახლებათა განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას;

თ) დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას;

ი) მშენებლობის ნებართვის გასაცემად ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას და შენობა-ნაგებობების კლასების მიხედვით მშენებლობის ნებართვების გაცემის თაობაზე სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;

კ) კომპეტენციის ფარგლებში, გადაწყვეტილებების მიღებას ისეთი პროექტების, განცხადებების შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომლებიც არ საჭიროებენ კანონით განსაზღვრული ნებართვების გაცემას;

ლ) მშენებლობის ნებართვების გასაცემად საჭირო პირობების, საპროექტო და სხვა დოკუმენტაციების კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების შემუშავებას;

მ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას დასახლებათა მიწათსარგებლობის, უფლებრივი ზონირების, ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებზე;

ნ) წინადადებების მომზადებას მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, დაგეგმვის და ამ მიზნით თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენის და შეცვლის შესახებ;

ო) უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა/შესწავლას და მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებას;

პ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიწის ნაკვეთების დაყოფა-გაერთიანების შესახებ

განცხადებების განხილვას და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადებას;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში, არქიტექტურული საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტების შესრულებას, განყოფილების უფლებამოსილებას მიკუთვნებული კორესპონდენციის განხილვას და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებას;

რ) მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი